

A lit candle with a bright flame sits on an open book. The scene is warmly lit, with the candle's glow illuminating the pages of the book. The background is dark, making the candle and the book stand out.

პეტრე გელხვიძე

ადამიანი სანთელს გაეს

ქუთაისი 2012

პეტრე გელხვიძე –ადამიანი სანთელს გაეს.

ექვნიება ჩემი მასწავლებლის ბატონი თორნიკე ევრემიძის დაბადებიდან 80 და პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლის იუბილეს; ჯამრთელობის, დიდხანს სიცოცხლის და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის სურვილებით.

© პეტრე გელხვიძე, 2012.

პროფ.თ.ეფრემიძე-როგორც მომავალი თაობის გზამკვლევი

განა პიროვნების გავლილი ცხოვრების გზის შეფასება გინდოდეს და უკეთესი დატვირთვა მოიფიქრო მისთვის ვიდრე –მომავალი თაობის გზამკვლევი. რა თქმა უნდა არა, არადა ამით თითქოს ყველაფერი ნათქვამია, სულმნათი შ.რუსთაველიც ხომ ამას გემოდღვრავს “გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო”, მაგრამ იმასაც ხომ დაფიქრება სჭირდება რომელ გრძელ სიტყვაზეა ამჯერად საუბარი, განა ვისმეს ექნება იმის პრეტენზია, რომ თავისი სიტყვამჭერლობით სრულყოფილად გადმოცეს ბატონი თორნიკე ეფრემიძის მიერ რვა ათეული წლით და 55 წლიანი პედაგოგიური, სამეცნიერო და ამოუწურავი მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობით დახუნძლული საგანძურის წარმოჩენისა? შეძლებს კი ამ ამოცანის გადაწყვეტას ის საუბილეო კონფერენცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის და მშობლიური უნივერსიტეტის ცნობილ მეცნიერთა, მხატვრული სიტყვის ოსტატთა, საზოგადო მოღვაწეთა და შემოქმედ სტუდენტთა მონაწილეობით იქნება გამართული? პირადად მე, რომელმაც ექვს ათეულს გადავაბიჯე და ოთხნახევარი ათწლეულია ბატონი თორნიკეს “ველში” ვცდილობ თუნდაც ძალზე შორეულ ორბიტაზე მაინც შევინარჩუნო ადგილი და რომელსაც სიტყვები ვერ მომიძებნია რით დავიწყო თხრობა. ალბათ პირველი შთაბეჭდილება მისი ელევანტური აღნაგობით იქნებოდა განპირობებული, რომ არაფერი ვთქვათ თეორიული ფიზიკის ურთულესი ფორმულების და კანონების გადმოცემისას როგორ შემოაპარა რჩევა სტუდენტებისათვის, კამასახურდიას “დიდოსტატის მარჯვენა“-ს და “დავით აღმაშენებელი“-ს წაკითხვის აუცილებლობისა. თუმცა ჩემი, მისადმი განსაკუთრებული ყურადღება იმ პერიოდში მიიპყრო ლიტერატურულ ჟურნალ “განთიადში” გამოქვეყნებულმა “მზიანი ღამის პრობლემამ ვეფხისტყაოსანში”, რომელიც ჩემზე დღემდე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს; მისმა მიდგომამ, ცნობილი რუსთველოლოგების გვერდით (მზე როგორც “მზიანი ღამის” ხატი, ერთარსებისა და “უჟამო ჟამის”, ღმერთის ხატი) საკითხის ფილოსოფიური სიღრმით (რუსთაველზე მზის ხატის შექმნაში ნეოპლატონიზმის და არეოპაგიტული ფილოსოფიის გავლენისა “ვის ხატად ღმერთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი”...) [1-2].

მომავალი თაობის მეგზურობა არ არის განა ის ფაქტი, რომ დღევანდელი ფიზიკის დეპარტამენტის შემადგენლობის ძირითადი ნაწილი ბატონი თორნიკეს მოსწავლედ მიიჩნევს თავს, რომ აღარაფერი ვთქვათ კურსდამთავრებულთა იმ დიდ არმიაზე, რომლებმაც ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის სპეციალობა დაამთავრა და ამჟამად ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში ეწევა პედაგოგის საპატიო დღემდე დაუფასებელ ტვირთს. თუნდაც ის მოგონებები და შეფასებები რად ღირს, რომლებიც გამოითქვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართულ კურსდამთავრებულთა

შეხვედრებზე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის 50 წლისთავთან დაკავშირებული კონფერენციის რეგიონებში გამსვლელ სხდომებზე.

ათეულობით ასპირანტმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო ბოლო წლებში აკადემიური დოქტორის წოდების მოსაპოვებელი, დისერტაცია ბატონი თორნიკეს ხელმძღვანელობით. მისი ხელდასმით სამეცნიერო მუშაობის გზაზე დამდგარი არაერთი მკვლევარი დღეისათვის უცხოეთის წამყვან ლაბორატორიებში აგრძელებს ნაყოფიერ მოღვაწეობას.

მეორე და მესამე ათასწლეულთა გასაყარზე, როცა ჩემი ნახევარსაუკუნოვანი გავლილი გზის გალანდვა დავაპირე, ჩემს თვალწინ ბატონი თორნიკეს მიერ ჩემს ცხოვრებაზე გაწეული უდიდესი წვლილი დავინახე; დავიწყებ იმით, რომ ბატონი თორნიკეს მიერ დაფუძნებული და ათწლეულებ-გამოვლილი კათედრის სამეცნიერო და მეთოდური სემინარი იყო და არის საფუძველთა საფუძველი ჩემი როგორც მეცნიერის და პედაგოგის (თუ ასეთი რამის დანახვა შეუძლია გარეშე თვალს) ჩამოყალიბების საქმეში, რამეთუ ამ სემინარებზე განხილული პრობლემები თანამედროვე პლაზმური ფიზიკის აქტუალურ საკითხებზე გახდა ბიძგი ჩემში გაჩენილი უდიდესი ამბიციისა, ასპირანტურაში სწავლა გამეგრძელებინა ქალაქ მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პლემბედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში (ФИАН СССР), სადაც როგორც შემდგომში იქ განმიცხადეს (ასპირანტურაში საბუთების შეტანისას), “ქუთაისი საბჭოთა სამეცნიერო კვლევების რუკაზე არ არსებობსო” და იმ შემთხვევაში დამრთავდნენ ასპირანტურაში მისაღები გამოცდების ჩაბარების უფლებას თუ წარვადგენდი მათთვის მისაღები მეცნიერის რეკომენდაციას; სწორედ ასეთ რეკომენდატორად ბატონი თორნიკე მომეველინა და რომელმაც მომცა შესაძლებლობა ჯერ სტაჟირება ხოლო შემდეგ ასპირანტურა საბჭოთა ფიზიკის უმაღლეს მწვერვალზე მყოფ ტაძარში გამეტარებინა; არ შეიძლება არ აღვნიშნო იმ ურთიერთობის შესახებ, რომელიც არსებობდა და დღემდე არსებობს, (როგორც მეცნიერული ისე ეროვნული პათოსის თვალსაზრისით) ბატონ თორნიკესა და პროფესორ ანრი ამბროსის-ძე რუხაძეს [იმდროინდელი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პლემბედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმური ელექტრონიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მ.გ.ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის პლაზმური ელექტრონიკის კათედრის პროფესორი, პროფ. ვ.სილინთან ერთად პლაზმის ელექტროდინამიკის პირველი სახელმძღვანელოს, ათეულობით მონოგრაფიის, (მათ შორის რამოდენიმე სხვადასხვა უცხოენაზეა თარგმნილი) ასეულობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ათეულობით ასპირანტის (მათ შორის ჩემიც) და დოქტორანტის ხელმძღვანელი; სახელმწიფო პრემიის ლაურიატი და საერთოდ დიდი ჰუმანისტი] შორის. ბატონ ანრის ქონდა სურვილი ბატონ თორნიკესთან ერთად მოსკოვიდან პედაგოგიური ინსტიტუტის (რექტორი პროფ. თ.ბაკურაძე, -პროფესორი ფილოსოფოსი; პრორექტორი დოც. ზ.

გაბრიჭიძე; -ფიზიკოსი) ფიზიკის კათედრას გადმოცემოდა და ინსტიტუტის ერთ-ერთ სარდაფში განთავსებულიყო ძლიერდენიანი ელექტრონული კონის მძლავრი ამაჩქარებელი “**TEPEK-I**” (ალბათ გასაგებია ყველა ქართველი “თერგდალეული”-ს სურვილი სამშობლოს წინაშე), რომლის მუშა პარამეტრები: ელექტრონული კონის ენერგია 0,7 მეგ და იმპულსის ხანგრძლივობა 5-10 ნწმ; დღევანდელი სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის –“ნანო ტექნოლოგიის” ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს (მაგრამ იმჟამად ამ საკითხის გადაწყვეტა არ მოხერხდა გარკვეულ წრეებში დანადგარის მიმართ გავრცელებული მაღალი შესაძლო რადიაქტიური გამოსხივების საშიშროების გამო). ამავე თემატიკით იყო განსაზღვრული და მქონდა ბედნიერება აქტიური მონაწილეობა მიმელო უფრო მძლავრი ამაჩქარებლის შექმნაზე (1 მეგ ენერგიით და 1 მწმ ხანგრძლივობის ძლიერდენიანი 50-60 (კა) ელექტრონული კონის მქონე); შევხებოდი ისეთ პრობლემებს როგორცაა ზემდლავრი ლაზერების რეალიზაციის საკითხები და მძლავრი ამაჩქარებლების შექმნის პროცესი; საკუთარი თვალთ მენახა ფიზიკოსთა ისეთი გიგანტები როგორც არის აკად. ა.მ.პროხოროვი და ნ.გ.ბასოვი (ნობელის პრემიის ლაურეატები); სამეცნიერო სემინარზე, რომელზეც მოხსენებით გამოდიოდა აკად. ა.მ.პროხოროვის ჯგუფი, მქონდა პატივი იმავე სემინარზე მოხსენებით გამოსვლის; თემა ეხებოდა თეორიაში ცნობილ ვირტუალური კათოდის რხევით ზემადალი სიხშირის მძლავრი გენერატორის პრაქტიკული რეალიზაციის საკითხს, რითაც დაინტერესდა იმ დროს საბჭოთა კავშირში ატომური აფეთქებების კვლევების ხელმძღვანელი აკად. ი.ბ.ხარიტონი, ის ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა ევ.წ. (СОИ -Стратегические Оборонные инициативы) “სტრატეგიულ თავდაცვის ინიციატივებს”-ის, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში განხორციელებულ პროგრამაში და რომელიც დაინტერესდა ჩემი მოხსენების ხელთნაწერით და მანვე მოითხოვა ჩემი მოხსენება გამოქვეყნებულიყო [3].

შემდგ იმავე ამაჩქარებლის საშუალებით მომეცა შესაძლებლობა ექსპერიმენტალურად მიმელო ვირტუალური კათოდი და გამეზომა შესაბამისი პარამეტრები (მიღებული მაქვს გამომგონებლის პატენტები: ვირტუალური კათოდის მიღების ხერხის და ვირტუალური კათოდის სარეგისტრაციო ხელსაწყოს შექმნისათვის [4;5] და საერთოდ, თუ ხმამაღლა არ გამომივა ნათქვამი, მქონდა პატივი ამ საქმეში ჩემი მოკრძალებული წვლილიც შემეტანა [6-9].

შეგნებულად ავარიდებ თავს წარმოვაჩინო ბატონი თორნიკეს შემოქმედებითი (ლიტერატურული თუ ისტორიოგრაფული) მოღვაწეობა, რადგანაც ამ საქმეს გაცილებით უკეთ ამ საქმის ავტორიტეტული სპეციალისტები გაართმევენ თავს, რომლებიც საკმაოდ იქნებიან წარმოდგენილი კონფერენციის მსვლელობისას, მაგრამ არ შემიძლია არ შევაფასო ბატონი თორნიკეს პიროვნება ჩემივე “აზრების” მიხედვით: “ადამიანი სანთელს

გავს-რაც უფრო იხარჯება, მით უფრო ანათებს” და “ბატონი, თორნიკე ეფრემიძე-პიროვნული, კაცური ღირსებების “მეტრი””!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Н.Март, Иоанн Петницкий, грузинский неоплатоник, 11-12 вв., ЗВОРАО, 19, 1909
2. Ш.Нуцубидзе, Петр Ивер и античное философское наследство, АН ГССР, Тбю, 1963
3. П.К.Гелхвиидзе, СВЧ -генераторы на основе колебании виртуального катода. Препринт, ИОФАН, №147, м. 1986 г.
4. პ.გელხვიიძე- ვირტუალური კათოდის მიღების ხერხი; (საქპატენტი) სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი 17(70) თბილისი 2000.
5. პ.გელხვიიძე- ვირტუალური კათოდის სარეგისტრაციო ხელსაწყო; (საქპატენტი) სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი 17(70) თბილისი 2000.
6. П.К.Гелхвиидзе, В.С.Иванов, В.И.Кремцов и др., Сильноточный ускоритель микросекундного диапазона, Препринт, ИОФАН, №198, м. 1986 г.
7. Л.С.Богданкевич, П.К.Гелхвиидзе, В.С.Иванов и др., Двойной резонанс в линейно поляризованном ондуляторе, Крат. Сообщ. По физике №6, 1985 с,34.
8. Л.С.Богданкевич, П.К.Гелхвиидзе, А.А.Рухадзе, Генерация СВЧ излучения электронными пучками со сверхпределным током, Препринт, ИОФАН, №94, м. 1987 г.
9. П.К.Гелхвиидзе, Транспортировка РЭП с предельным током, Сообщения АН ГССР, 140, №1, 1990, с.45

პეტრე გელხვიიძე



ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი. ოთხ ათეულზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური ნაშრომის (სამეცნიერო შრომების თემატიკა ეხება ძლიერდენიანი რელატივისტური ელექტრონული კონების გამოყენების პრობლემებს ზემდღავრი ლაზერების რეალიზაციის საქმეში), სამი პატენტისა და სასწავლო მეთოდური ხასიათის

რამოდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი.